საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 29 05/07/2016

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხარაგაულ დასუფთავებისათვის“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის შესახვევში 2 - ში მდებარე შენობისა და მასზე დამაგრებული მიწის სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გადაცეს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ხარაგაულ დასუფთავებას“სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის შესახვევი 2-ში მდებარე 772 კვმ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი /ს.კ. 36.01.31.189/, მასზე მდგარი 43.50 კვმ. ფართის შენობა - ნაგებობით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

ინგა მაღრაძე

ი. მაღრაძე

საკრებულოს თავმჯდომარე